ოქმი #4

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 28 თებერვალი, 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ. ყურაშვილი, ო. ჩაკვეტაძე, მ. მამარდაშვილი, ნ. საღინაძე, თ. ნემსწვერიძე, ნ. ბურჯალიანი, გ. გოგებაშვილი, ზ. მეშველიანი, დ. მუშკუდიანი, ნ. ტვილდიანი, ბ. ახვლედიანი, გ. გურგუჩიანი, რ. ყურაშვილი, მ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე
მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: გ. კვირიკაშვილი
ა(ა)იპ ,,ესთეტიკური აღზრდის ცენტრის“ ხელმძღვანელი: ზ. ჩანქსელიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

განკარგულებები:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, ს. გვიშიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. კვირიკაშვილი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. კვირიკაშვილი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 27 დეპუტატი/

დადგენილება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, მ. ლეთოდიანი/

მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა განმარტა, რომ ბიუჯეტში მესამე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის განკარგულება ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", რომლის მიხედვითაც ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა არაუმეტეს 4 416 762 ლარისა.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები ასევე დაკავშირებულია მიზნობრივ ტრანსფერთან, რომელიც ცაგერის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით განისაზღვრა 177 900 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით ცვლილებები შეტანილი უნდა იქნას ბიუჯეტით განსაზღვრულ პრიორიტეტში ,,ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა".

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურული განვითარება" ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების ანალიზით ირკვევა, რომ ზოგიერთ პროგრამას ესაჭიროება თანხის დამატება, კერძოდ ,,რეგიონალური პროექტების პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება" ამ პროგრამისთვის საჭიროა 95.0 ათ. ლარი.

ცვლილება ეხება ასევე სარეზერვო ფონდს, რომელიც იზრდება 20.0 ათ. ლარით და ცაგერის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურებას.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ.ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა,

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 23

წინააღმდეგი: 4

,,ცაგერი საქრთველოსთვის" ფრაქციის თავმჯდომარე მ. მურცხვალაძე

და ამავე ფრაქციის წევრები დ. მურცხვალაძე, გ. კოპალიანი, ი. ყურაშვილი

განკარგულებები:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, ს. გვიშიანი/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ,,საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველობის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულების საფუძველზე ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 620 000 ლარი. პროექტების შერჩევის მიზნით დასახლებების მიხედვით გაიმართა სოფლის კრებები, კრებების მუშაობაში დადგენილი წესის შესაბამისად მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 20-ზე მეტმა. მოსამზადებელ პერიოდში შემოსული იქნა 75 საპროექტო წინადადება, ხოლო სოფლად ჩატარებული კრებების გადაწყვეტილებით მიღებული იქნა 66 საპროექტო წინადადება. 2023 წელს დაუკონტრაქტებელი დარჩა სოფელ გვესოსა და ჩქუმში განსახორციელებელი 2 პროექტი ღირებულებით 5 500 ლარი, რაც არსებული წესის შესაბამისად სრულიად მოხმარდება ანალოგიური პროექტების განხორციელებას.

მიღებული 66 წინადადებიდან შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციაზე დაიგეგმა 32 პროექტი, გარე განათებაზე 15 პროექტი, სასმელი წყლის რეაბილიტაციის 5 პროექტი, სანიაღვრე არხების მოწყობის 2 პროექტი, სპორტული ობიექტების რეაბილიტაციაზე 5 პროექტი, სასაფლაოს შემოღობვაზე 1 პროექი, სკვერის მოწყობაზე 1 პროექტი, მოსაცდელის მოწყობაზე 1 პროექტი, სველი წერტილის მოწყობის 1 პროექტი, სარეკრეაციო სივრცის მოწყობის 1 პროექტი და ნაპირდამცავის მოწყობის 1 პროექტი.

განკარგულების პროექტის მიღებით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლების წინასე მდგარი არაერთი პრობლემა მოგვარდება.

აზრი გამოთქვეს: ნ. ტვილდიანმა, ნ. საღინაძემ, ჭ.ჭაბუკიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა,

განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. კვირიკაშვილი/

აღნიშნული განკარგულება არეგულირებს ცაგერის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილე ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის მოსწავლეების კვებითი უზრუნველყოფისთვის საჭირო დღიური თანხის ოდენობას, რომელიც იყო 15 ლარი, გაიზარდა 5 ლარით და შეადგენს 20 ლარს.

აზრი გამოთქვეს: კ. მუშკუდიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, ჭ.ჭაბუკიანმა

აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ

კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა დეპუტატმა,
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 27
წინააღმდეგი: 0

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. კვირიკაშვილი/

ა(ა)იპ ,,ესთეტიკური აღზრდის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზურაბ ჩანქსელიანმა ისაუბრა ,,ესთეტიკური აღზრდის ცენტრთან“ არსებული ქორეოგრაფიული ანსაბლი ,,ლეჩხუმის“ საქმიანობის შესახებ, აღნიშნა, რომ გასული წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო ანსამბლისთვის. განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსაბლი ,,ლეჩხუმი“ აქტიურ მონაწილეობას იღებდა წლის განმავლობაში რეგიონულ და მუნიციპალურ კულტურულ ღონისძიებებში. ზაფხულის პერიოდში მწვანე თეატრზე ჩატარდა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების პირველი რესპუბლიკური ფესტივალი, სადაც მონაწილეობა მიიღო 12-მა ქორეოგრაფიულმა კოლექტივმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ანსაბლი ლეჩხუმი მიწვევით იმყოფებოდა გერმანიაში ქართული ფოლკლორის დღეების ეგიდით. აღსანიშნავია ქორეოგრაფიულ ანსაბლ ,,ლეჩხუმის“ საგასტროლო ტურნე საზღვარგარეთის ქვეყნებში და მონაწილეობა საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალებში რუმინეთსა და ბულგარეთში, სადაც ანსამბლმა აიღო გრანპრი. აგრეთვე მონაწილეობდა ქობულეთში სიმღერისა და ცეკვის საერთაშორისო და ოზურგეთში გამართულ ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქორეოგრაფიულ რესპუბლიკურ ფესტივალებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ანსაბლ ,,ლეჩხუმის“ აღზრდილი არაერთი ნიჭიერი მოცეკვავე კარიერას აგრძელებს ჩვენი ქვეყნის წამყვან ქორეოგრაფიულ ანსამბლებში.

2024 წლის 14 მაისს ესთეტიკური აღზრდის ცენტრის მიერ იგეგმება ცენტრის დამაარსებლის აწ. გარდაცვლილი კარლო მუშკუდიანის ხსოვნის საღამოს ორგანიზება, მაისის თვის მეორე ნახევარში მწვანე თეატრზე გაიმართება ქორეოგრაფიული ანსამბლების მეორე რესპუბლიკური ფესტივალი ,,ხომლი - 2024“, სადაც მოწვეული იქნებიან ხალხური ანსამბლები თურქეთიდან და ბალტიისპირეთიდან, ივნისი-ივლისში ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ლეჩხუმი“ მონაწილეობას მიიღებს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც გაიმართება საბერძნეთში, ასევე დაგეგმილია მონაწილეობის მიღება რეგიონალურ და მუნიციპალურ კულტურულ ღონისძიებებში.

მიუხედავად გაწეული გარკვეული მუშაობისა ესთეტიკური აღზრდის ცენტრის საქმიანობა ხასიათდება ხარვეზებით და პრობლემებით: ავარიულ მდგომარეობაშია ესთეტიკური აღზრდის ცენტრის შენობა, დაზიანებულია სახურავი და იატაკი, აღსადგენია შენობის სათადარიგო კიბე, მაგრამ მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იგეგმება შენობის რეაბილიტაცია, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ,,ესთეტიკური აღზრდის ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზურაბ ჩანქსელიანმა ცაგერის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

,,ესთეტიკური აღზრდის ცენტრის“ ხელმძღვანელს ზურაბ ჩანქსელიანს წარმატებული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადეს ცაგერის მინიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ჭაბული ჭაბუკიანმა და საკრებულოს წევრებმა.

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.
(განკარგულება თან ერთვის)

საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი